

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო¹

თბილისი, 8 აგვისტო 2013 წ.

პირველი სხდომის ოქმი

2013 წლის 8 აგვისტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს I სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა შსს-ს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე. სხდომას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები, ასევე აშშ-ის საელჩოს, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის, გაერო-ს ნარკოტიკების გავრცელებისა და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წარმომადგენლები.

სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის პროექტი.

პროექტის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, სადაც წარმოდგენილმა მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი შენიშვნები და რეკომენდაციები.

აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაული ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს და სწორედ ამიტომ სასურველი იქნებოდა ერთიანი სტრატეგიის შექმნა, სადაც დეტალურად განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: კორუფცია, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ფულის გათეთრება, ტრეფიკინგი, ტერორიზმი. ამის პასუხად, შსს-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ორგანიზებული დანაშაულის ისეთ ფორმებზე, როგორებიც არის ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და კორუფცია უკვე შემუშავებულია სტრატეგიები ან/და სამოქმედო გეგმები, შესაბამისად, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, ეს საკითხები სტრატეგიაში აღარ გაიწერა და გაკეთდა მითითება ზემოხსენებული მიმართულებების მარეგულირებელ სტრატეგიებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმებზე. როდესაც საუბარია ქურდულ სამყაროსთან ერთად, სხვა ორგანიზებულ დაჯგუფებებზე, ამ უკანასკნელში იგულისხმება ის დაჯგუფებები, რომლებიც შეიძლება იყვნენ ჩართულნი ისეთი სახის დანაშაულებში, როგორებიცაა: გამოძალვა, თაღლითობა, ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით ვაჭრობა. სტრატეგია მოიცავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, საინფორმაციო კამპანიების წარმოებასა და ბიზნესწრეების ინფორმირებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ევროსაბჭოს წარმომადგენელი მიესალმა აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებას და მზადყოფნა გამოთქვა დახმარებისთვის, განსაკუთრებით, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. მან რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა სტრატეგიაში

¹ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა და დებულება დამტკიცდა 2013 წლის 13 ივნისის საქართველოს მთავრობის №145 დადგენილებით.

ადგილი დათმობოდა სტატისტიკური მონაცემებისა და შესრულების ანალიზს, რათა თვალსაჩინო ყოფილიყო დანაშაულის კლების ტენდენციები, რაც თავის მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. ამის პასუხად, შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებს დაეგზავნათ აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები შენიშვნებისა და რეკომენდაციებისათვის, რომელიც შემდგომში შეძლებისდაგვარად იქნებოდა გათვალისწინებული, ასევე აღნიშნა, რომ შსს მზად არის გონივრულ ვადაში მიიღოს შენიშვნები და რეკომენდაციები.

გაერო-ს ნარკოტიკების გავრცელებისა და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის წარმომადგენელმა სტრატეგიის იმპლემენტაციისათვის სამინისტროს მხარდასაჭერად მზადყოფნა გამოთქვა. მან ყურადღება გაამახვილა თანამშრომლობის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ფულის გათეთრება და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა. შენიშვნის სახით აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში საბაჟო და შემოსავლების სამსახური პარტნიორების სიაში არ იყო მითითებული, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს UNODC-ის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივა ფოთის პორტში კონტეინერთა კონტროლის შესახებ, სადაც პოლიცია და საბაჟო ერთობლივად მუშაობენ. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია უწყებათშორისი თანამშრომლობის გაღრმავება, როდესაც საქმე ეხება ტვირთების ტრანზიტის კონტროლს და გამოვიდა მცირე სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივით, რომელიც ამ კონკრეტული მიმართულებით იმუშავებს. შსს-ს მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭო უკვე შექმნილია და მას იუსტიციის სამინისტრო ხელმძღვანელობს, თავის მხრივ შსს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურთან (DEA). ასევე შსს-სა და შემოსავლების სამსახურის მიერ შექმნილია ერთობლივი სამუშაო ჯგუფი.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეაფასა როგორც ყოველისმომცველი და ამბიციური წამოწყება. დაინტერესდა იგეგმებოდა თუ არა სამინისტროში პოლიციის დეპარტამენტების რესტრუქტურირაცია, ამოცანების უფრო ეფექტურად შესრულებისა და დუბლირების თავიდან აცილების მიზნით. მისი აზრით, საინტერესო იქნებოდა ვიწრო სპეციალიზაციის პოლიციის დანაყოფების შექმნა, რომლებიც იმუშავებდნენ დანაშაულის კონკრეტულ მიმართულებებზე, რადგან გამოძიება ყოველთვის საჭიროებს სპეციალურ ტექნიკასა და ტექნიკას, აგრეთვე ხაზი გაუსვა აღნიშნული საკითხის სტრატეგიაში შეტანის მნიშვნელობას. შსს-ს მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ შსს-ში შეიქმნა რეფორმებისა და განვითარების სააგენტო, რომელიც მუშაობს სამინისტროს სტრუქტურისა და მიდგომების დახვეწის მიმართულებით. გაუქმდა კუდ-ი და სოდ-ი, შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ანტიკორუფციული სააგენტოები, ასევე ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი. რაც შეეხება ცალკეული დანაყოფების არსებობას, როგორც ნარკოტიკებთან ბრძოლის, ასევე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, სამინისტროში შესაბამისი

სამმართველოები მუშაობენ. მათი დახვეწისა და სრულყოფის მიზნით მუდმივად ხორციელდება სათანადო ღონისძიებები.

ევროკავშირის პოლიციის წარმომადგენელმა კმაყოფილება გამოთქვა სტრატეგიის შექმნასთან დაკავშირებით, მაღლობა გადაუხადა სამინისტროს გაწეული სამუშაოსთვის, დადებითად შეაფასა სამინისტროს ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ხაზი გაუსვა ევროპოლისთვის საქართველოს მნიშვნელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ, შსს-ს მინისტრის მოადგილემ მაღლობა გადაუხადა ევროკავშირის პოლიციის წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროპოლთან სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმება, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთ-ერთ ქმედით და ეფექტიან ორგანიზაციას, რომელიც რეალურად და შედეგიანად ახორციელებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა სტრატეგიის შემუშავების პროცესში საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა. მან დაინტერესება გამოხატა, თუ ვინ და რა მექანიზმებით განახორციელებს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და როგორი იქნება ამ საკითხში სამდივნოს როლი. მისი აზრით, მართებული იქნება ამ პროცედურების სტრატეგიაში გაწერა. ამის პასუხად, შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უწყებათშორისი საბჭოს სამდივნო სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად სტრატეგიის განხორციელებასა და მონიტორინგზე იქნება პასუხისმგებელი. სხდომის დღის წესრიგში გაწერილია სამუშაო ჯგუფების დამტკიცება. ჯგუფების წევრები მოახდენენ სამოქმედო გეგმის ანალიზს და განახორციელებენ შესრულების მონიტორინგს. სამუშაო ჯგუფები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და წარადგენენ საბჭოს წინაშე, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დახვეწასა და მასში შესწორებების შეტანას. ამასთანავე აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საჭოს წევრებმა ერთი კვირის ვადაში უნდა წარადგინონ კანდიდატურები, სამუშაო ჯგუფების დასაკომპლექტებლად.

ევროკავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მზად არის დახმარება გაუწიოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს. კონკრეტულად, მოკლევადიან პერსპექტივაში, TAIEX-ის პროგრამის ფარგლებში, შესაძლოა მოხდეს უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს საჭიროებების დაფარვა.

სხდომის დასასრულს საბჭომ დამტკიცდა ოთხი სამუშაო ჯგუფი:

1. ქურდული სამყაროსა და სხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფი;
2. გატაცებული ავტომობილების გამოვლენის სამუშაო ჯგუფი;
3. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფი;
4. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების სამუშაო ჯგუფი.